საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 30 ივნისის

დადგენილება №2441

ბაკალავრიატის მოდიფიცირებული
საგანმანათლებლო პროგრამების
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დამტკიცდეს ბაკალავრიატის მოდიფიცირებული ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები:

- გეოლოგია;
- სამთო და გეოინჟინერია;
- საინჟინრო გეოდეზია;
- გეოინფორმატიკა;
- საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა.

დადგენილებას თან ერთვის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს 2017 წლის 17 მარტის №10 სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2017 წლის 30 ივნისის დადგენილება №2441-ის დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის
სამეცნიერო საბჭოს სხდომის № 10 ოქმის

ამონაწერი

17.03.2017 წ.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 64 წევრი.

მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესორ შალვა კელეპტრიშვილის ინფორმაცია სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამების: „გეოლოგია“, „სამთო და გეოინჟინერია“, „საინჟინრო გეოდეზია“, „გეოინფორმატიკა“, „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ მოდიფიცირების შესახებ. კერძოდ:
1. ზემოთ აღნიშნულ პროგრამებში პირველ კურსზე ჰუმანიტარული არჩევითი საგნების ბლოკში ჩაემატოს საგანი „ტექნიკური დიზაინის ისტორია“ – 3 კრედიტი;

აზრი გამოთქვეს: ნ. ხუნდაძე, თ. კუნჭულია, თ. ლომინაძე.

დაადგინეს: სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა ერთხმად უჭერს მხარს ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამების: „გეოლოგია“, „სამთო და გეოინჟინერია“, „საინჟინრო გეოდეზია“, „გეოინფორმატიკა“, „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ მოდიფიცირებას და შუამდგომლობს მის განხილვას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე.

საბჭოს თავმჯდომარე: ა. აბშილავა

სწავლული მდივანი: რ.მანაგაძე

სწორია: